

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაბრი.

ივერია

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, № 249
ტფილისი

გაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამაგრ. საზოგადოების კანცელიარის.

ფასი განცხადებასა:
წვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ. მეოთხედზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პარკის სარქულის მიღებას აცხადებენ.

მცხეთის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი ნინო აცხადებს, რომ 14 ნოემბერს, დილის 9 საათზე, როდესაც იგი ეტლით მიდის ნილა ლამობრატის ქუჩიდან ვოკზალზე, ფაქტობრივად გადაპარტახდა ხელის საკვიათი, რომელშიც ყოფილა: ოქროს გვარი, გულზე დასაკიდებული, ფულად 25 თუმანად, შემხვევლ კასის კნიჟა ორმოცის თუმნისა და კიდევ სხვა ნივთები. მოგვლელთ სთხოვენ წარადგინონ ზემოდ აღნიშნული დანაკარგი შემდეგ ადგილას: ლაბორატორის ქუჩა, სახლი ლალაივისა, № 18, სოფიო იოსელიანისას. (3-2032-2).

ორშაბათს, 20 ნოემბერს, 1895 წელს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში მოხდება კრება პაპასიის იურიდიულ საზოგადოებისა. კრების განსახილველ საგნებს შეადგენენ:

- 1) ადმინისტრაციული კითხვები.
- 2) მოხსენებანი: ა) ხაზინადარის ი. კ. სავიციისა. ბ) წიგნთ-საცხვის გამგებლის ა. ი. მიტროპოლისისა. გ) მღვიმის ა. ს. ჭრენკელისა. დ) ამორჩეულ იქმნებიან თანამდებობაზედ ამ 1895 წლისათვის. 4) რეფორტი საზოგადოების წევრის ა. ს. ჭრენკელისა: „კავკასიაში ძარცვის ეკონომიური მიზეზნი“.

ფელეტონი

ლ ა ნ დ ი.

(გულდენი ქან ეკ. ვაბაშვილისას)

მალაღ მთის წვერზე ვიდრე მარტოკა,
არწივი ფრენით თავს დამწიოდა,
ჭირივით მძულდა ცა და ქვეყანა,
გული წამების ცეცხლით ღვიადა,
გახვდევ მინდორს—მზე ღილის მთიდან

ცეცხლის ბურთივით ამოდიოდა,
ნიაჭარისგან ანათროლო ვარდასა
სურნელოვანი ცრემლი სცვიოდა.
ათას ფეროვანს მწვანე მთა-ბარში
ღილის ნიავე მიმოვიოდა,
ტურულა*) მწყემსის გულის დარდებსა

მწარე ღუღუნით ცას აპკიოდა.
შხამ-გესლიანი ბოლმა და ბრაზი
გულში მიდუღდა, გადმოდიოდა,
გულ-გამეხებულს ჩემი ღუშნების
სისხლი მწყუროდა, ხორცი მშოიდა;
„შენც გამიწვდები, მიუტყვეო“, —
ვილაც ზეცილამ ჩამოპკიოდა,
მე-კი სიბრაზით ცოფ-მორეულსა
ზაფრანის ფერი გადამდიოდა,
დაჭრილ ლომსავით ვგმინავდი მედგარად,
რისხვა და ცეცხლი ამომდიოდა.

*) სალამური.

საზოგადოების წესდების მე-17 მუხლის ძალით სხდომას შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრნენ. (3-1).

ტფილისი, 17 ნოემბერი.

მეორე საგანი „კახეთის მეურნეთა კავშირისა“*) იგია, რომ რაც სოფლის კაცისათვის საშინაოდ სახმარია და სასყიდელი, ყოველივე იგი, შეძლებისამებრ, პირდაპირ მწარმოებელთან იყიდონ, რადგანაც იეფად და უჯღვრებათ და ამის გამო იეფად შეიძლებათ ვაჭყიდონ და სოფლის კაცს მიაწოდონ.

სოფლის-კაცს, თუ ხელს შეუწყობენ ღირებულ ფასად გასაღოს თავისი ნაჭირნახულევი და ამით დიდ სამსახურს გაუწყვენ, არა ნაკლები სამსახურია, რომ რაც შეიძლება იეფად მიაწოდონ ის, რაც მას სახმარად სჭირია და არა აქვს. აქაც საფუძვლად დაედებულია ის აზრი, რომ მხმარებელი მოჭირნახულეს პირდაპირ შეახვედრონ და ჩარჩი და ვაჭარი დაითხოვონ შუამავლობისაგან. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მოჭირნახულე სოფლის კაცი მხმარებელად არის დასახული და მისი მოჭირნახულეს მხმარებელი მოჭირნახულედ იმისა, რაც არა აქვს სოფლის კაცს და რაც მის-

ობ. „ივერია“ № 240, 243 და 248.

ამ დროს ხევა-გალმა, მწვანე მთის წვერზე
ტურფა ქალწული ამოდიოდა,
ხელებს მაწვდიდა, ვერა მწვდებოდა,
ცხარე ცრემლები ჩამოსდიოდა;
გამკეთილა მის სიყვარულმა,
გულსა და სულში თავი მიდიოდა,
და ვისიც წვლან სისხლი მწყუროდა,
ეხლა მე მისთვის გული მტკიოდა,
მთლად შემეყვარდა ცა და ქვეყანა,
გული ტანჯული აღარ ჩიოდა;
განქრა ქალწული მოლანდებული,
უსაზღვრო ტანჯვის ცრემლი მიდიოდა,
გამომეფხიზლა—ისევ ის ცეცხლი
და ჯოჯოხეთი გულს მიდიოდა.
დ. მაჩხაიელი.

მკლიანს გზავიდა.

(მოთხრობა).
შემდეგ*)

ანდრო ზაქარას ძე ჯიბაშვილი დღეს ოც-არვა წლისა შესრულდა. ეს მესამე წელიწადი იყო, რაც ანდრო თავის დაბადების დღეს დიდს ამბით დღესასწაულობდა. ჩვეულებებისამებრ დღესაც ანდრო დილიდანვე მზადებას შეუდგა. პატარა ქალაქის მოხელე-მოსამსახურე და საბატო მცხოვრებნი ყველანი მოიწვია ანდრომ ვახშმად. ანდროს იმედი ჰქონ-

*) იხ. „ივერია“ № 248.

თვის სასყიდელია. ამის აღსასრულებლად „კავშირის“ დაუდგენია იქონიოს საწყობები იარაღისა, თესლეულობისა და სხვა-ყოველისა, რაც საჭიროა სოფლის მეურნისათვის, აგრეთვე ყოველ იმისა, რაც ადგილის მკვიდრთათვის საშინაოდ სასყიდელია.

მესამე საგანი „მეურნეთა კავშირისა“ არის განკარგება და წარმატება სოფლის მეურნეობისა კახეთში. რა თქმა უნდა, რომ ამ მხრით არამც თუ კახეთი, მთელი საქართველო უკან ჩამორჩენილია იმოდენად, რომ ლამის მიწაზე ხელი ავიდოთ, რადგანაც იგი ჭირნახული, რომელსაც დღეს შეგვჩენებიათ და მოგვყავს და რომელზედაც ამოდენა შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიფედა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ამ გაიფედას იმისთანა მიზეზი აქვს, რომელსაც არამც თუ ბოლო ოდესმე მოელება, არამედ დღე და დღე გაძლიერდება და გადიდება. დღეს პურზე, ქერზე და სხვა ამისთანა მარცვლეულობაზე შელეული ამბი და ხარჯი მიწათ-მომკმედს ხელს არ მისცემს, რადგანაც იშვიათს შემთხვევათა გარე, ეგ მარცვლეულობა, სხვიდამ მოტანილი უფრო იეფად უჯდება აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვიჯდება და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამბავარი, ან ორმოცეში დავაღპოთ. რუსეთის პური

და, მოწვეულნი უეჭველად პატისას-სცემდნენ და ვახშმად მოვიდოდნენ; ამიტომ მთელი დღე ანდრომ ვახშმის მარაგს მოანდობდა და ბლომა ფულგებიც დახარჯა. ეს ხარჯი ანდროს სრულიად არ აწუხებდა... ანდრო მამის სიცოცხლეშივე ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის უკანასკნელ კლასამდე მი-აღწია. მამის გარდაცვალების შემდეგ სულ სამი თვე-ლა სწავლობდა სკოლაში. სწავლა დაამთავრა და ადგილობრივს სამმართველოში მწვერლად შევიდა. თუმცა მასწავლებლები ურჩევდნენ ანდროს სწავლა განეგრძო, მაგრამ ანდრო ქვრივ-ოხერს ხელ-მოკლე დედას, მის შეუძლებლობას ასახელებდა მიზეზად. ისეც იმედი მაქვს მშვიერი არ მოგვკვდებიო, ფიქრობდა ანდრო და სწორედ, რომ არც მოსტყუდა.

ანდრომ სამსახურში ჯეროვანი მუყაითობა, მოხელეობისათვის საჭირო ფხა და გამჭირახობა გამოიჩინა და ძლიერ მალეც დაწინაურდა. ცხოვრებაში გამოუცდელი ანდრო მოხელეების წრემ, სამმართველოს შეგუბებულმა დაობებულ დაეთარ - ქალაქების მტვრით სავსე პაერმა თავისებურად გარანდა და დახმავებულს მოხელეთა კალაპოტში ჩააგდო. ანდრო მალე მიიხვდა, რომ კალაპს ორი წვერი აქვს, რომ ქალაქზედ ორნაირი მდენით შეიძლება დაიწეროს და მაგდის უჯრის კუნქულში მიმაღული

ბევრად იეფია, ვიდრე ჩვენი, — ჩვენი შრომისა და ხარჯის კვალობაზე და აქ ცილობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე ან არ ვისწავლით ერთისა და მხვე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი გამოვალბინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამ მოსავლი მოვალბინოთ იმისთანა, რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და სამზღვარ-გარედაც. კიდევ ვიტყვი: იმას, რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნებდამ ეზიდება და რასაც ზედ აღწევს არა ერთსა და ორს მილიონს მანეთსა, ის, ყოველის ფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვექონდეს.

ამ ცოდნის მოსაფენად და გასავრცელებლად „კავშირს“ საგანდა აქვს ჰბეჭდოს წიგნები, ბროშურები, აგრეთვე იქონიოს დრო-გამოშვებითი ჟურნალი ან გაზეთი, თავისი მოღვაწეობის შესაფერი. წიგნით ცოდნის გავრცელებას არა ჰქმარობს „კავშირის“ და საზოგადოებრივი წიგნი ამ შემთხვევაში ისე მალე მისაწოდომი და შესათვისებელი არ არის, როგორც მაგალითი, როგორც ის, რასაც კაცი თვალთ ჰხედავს, რასაც გამოცდა აჩვენებს, ნამეტნავად თუ სახეში ვიქონიებთ იმ უმეტესობას ერისას, რომლის ფეხზე დაყენება ასე სანატრელია ჩვენთვის და რო-

ქალაქი ამოსალეად მხოლოდ მაშინ შეტოვდება, როცა მაგდის უფროსის მარჯვენა ხელის გულის ქავილი ჯეროვანად იქნება დაკმაყოფილებული. ამ მოხელეთა ფილოსოფიას ანდრო ყოველს შემთხვევას შეუფარდებდა ხოლმე და გულ-ნაკლული არას დროს არ რჩებოდა. უფროსნი ანდროს ცდა-ნიქს ნათლად ჰხედავდნენ და ერთგული მოსამსახურე მალე დააჯილდოვებს და კარგი თანამდებობა ჩააბარებს. ეხლა-კი ანდრომ უფრო ფხა გამოიჩინა, წინანდელი რიდი ჩამოიკალა, პირს ლავამი მოისხნა და გაჭრა ხელი. ცხოვრების უღმომბეღლა ბორობაზე ჩვენი ქვეყნის დაბა-სოფლები ქედ-მოხრილ საპარს ცხვრად გარდაქცია. ანდრო, როგორც ძალის მქონე, უფრო კარგად სარგებლობდა უძლურთა მდგომარეობით. ძალა აღმართსაც-კი ჰხნავსო და ვაკეზე ანდროს რა გაუძნელდებოდა. რაკი წელი კარგად გაიბარა, ანდრომ შეკეტული ცხოვრების კარი გააღო და ადგილობრივ საზოგადოებაში ფეხი გადგა.

საზოგადოებაში გამოსვლას ანდრომ უხვი სუფრა წაუძმღვარა და, რასაკვირველია, რომ ანდრო მალე შეიქნა აუცილებელი წვერი საზოგადოებისა. სადაც მარტო კუჭი ბატონობს, იქ არავინ იფიქრებდა ანდროს შინაგან ცხოვრების სიმხინჯის შესახებ. ანდრო ყველასათვის სასიამოვნო სტუმარი შეიქნა. ნამეტურ სასურველ და

მელიც მკვიდრი ბურჯია ქვეყნისა.

რადგანაც მარტო წიგნი ვერ გაუწევს საკმაო სამსახურს დიდ საქმეს ცოდნის გავრცელებისას, „კავშირს“ განუზრახავს საქმე ისე მოაწყოს, რომ მსურველმა თავისი საკუთარი თვალთ დაინახოს რა უფრო სასარგებლოა კაცმა გამოვალბინოს მიწას, რა სასურველი მოსაყვანად, რა რიგად უნდა აკეთოს, რა რიგად მოუაროს, რა გვარად უნდა შეუწყოს ხელი და იწარმოვოს.

რომ ყოველივე ეს აჩვენოს მსურველს და დააჯეროს, რომ ამა თუ იმ ჭირნახულისაგან უფრო დიდი გამოჩენა ექნება, „კავშირი“ კახეთში იქონიებს მიწებს, საცა ყოველ ამის მაგალითს და საბუთს თვალთ დაინახვებს. რომ სხვა გზითაც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლად მომქმედს მოჭირნახულეს, „კავშირი“ გაიჩენს ხალხში გასავრცელებლად რაც საუკეთესო ხილია, ან საბოსტნე რამ, ან მცენარე, და იყოლებს სასაუკეთესო ჯიშის პირუტყვსა, რომ ამით პირუტყვთ-შენება განკარგდეს ჩვენში და კი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს.

აი ეს სამი საგანია მოხერხებული წესდების § 1-ში, რომელიც „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“ მისაღწევად დაუნიშნავს. შემდეგ § 3-ში დასახელებული სხვა საგნებიცა მაგალითებრ, ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვა, იეფ-კრედიტის და-არსება სოფლის მეურნეობის ტენ-

შინაურ წვერად გახდა იმ ოჯახში, სადაც-კი ყელმოღერებული ქალიშვილის მშობლები გაუფაციცებით იყვნენ შვილები გაუთხოვარი არ დაეხავებინათ. ახალგაზღვობა, გარეგანი სილამაზე, ენამახვილობა ანდროს უპირატესობასაც-კი აძლევდა სხვა ყმაწვილებთან შედარებით. ბევრი მშობელი ილესავდა ანდროზედ კბილებს, ბევრი უკვე თავის სიძეთა სახავდა ანდროს, მაგრამ ანდრო არ ჩქარობდა, მაგრამ... ამ უკანასკნელს დროს ყოველთვის მხიარულსა და კმაყოფილს ანდროს რად შეებარა დალონება-დაფიქრება?

ამ ერთი თვის წინად სადილობის დროს ანდრო და იმისი ხანში შესული დედა ჯერ სუფრიდგან არ ამდგარიყვნენ, როცა დედამ შვილს თითქოს ყვედრებით უთხრა:

— შვილო სანამაქე არ გითხრა, განა შენ თითონ არ უნდა მოიფიქრო? ხომ იცი ცოლის შერთვის დრო დაგიდგა? ვერა მხედვ დავერდი და განა არ გინდა შვილო შენი ბედნიერება ვნახო?

— რას ამბობ დედი, ცოლს ვინ ოხერი მომცემს! სიცილით უპასუხა ანდრომ.

დედა ვერ მიუხვდა ანდროს სიტყვის გაქარწყლებას და წყენით უთხრა:

— რატომ არ მოგცემენ? მე ვიცი სამსახურით, შეძლებით თუ სილამაზით არ დაგიწუნონ? შენისთანა საქ-

ნიკის განკარგებისათვის და მკვიდრთა ხელის გამართვისათვის.

საქმე დიდ ფარგალშია მოქცეული, როგორც სიანს და სანატრელია, რომ აღსრულებაში მოვიდეს. ესე იგი თხავთ: რა ღონე, რა შეძლება უნდა გასწვდეს ამოდენა საქმესა? ამის პასუხს თვითონ წესდება „კავშირისა“ გვადიდებს და საჭიროა ამ მხრითაც ჯერ წესდება ვალაპარაკოთ.

ახალი ამბავი

* * * ნოემბერს, დასავლეთ საქართველოს თავდაზნაურთა წინამძღოლს თავ. ს. წერეთელს დებეშით მიულოცავს ხელმწიფე იმპერატორისათვის იმპერატრიცას მშვიდობით ძეობიდან განთავისუფლება და დიდის მთავრისას ოღლა ნიკოლოზის ასულის დაბადება. თავ. წერეთელს შემდეგი პასუხი მოუვიდა:

გულწრფელად გმადლობთ თქვენ და ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა საც მადლობისათვის.

ნიკოლოზ.

* * * დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში რ. ი. დანილოვიჩი წიკითხავს ეკონომიურსა და სამეურნეო გამოკვლევას ერევნის გუბერნიისას.

* * * კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ნება დართო, რომ საზოგადოების დარბაზში მეურნეებმა გამოაფინონ ხოლმე სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოები.

* * * საქართველოდამ დღემდის დიდ-ძალი მატყლი გაქონდათ. მაგრამ ამ ბოლოს დროს მატყლის ფასები ძლიერ დაეცა. ცხვრის მოშე-

პრო კაცი აქ არავინ მეგულება. დედა გენაცვალოს, შენ ოღონდ ერთი ენა დასძარ და ნახავ, რამდენი საცოლვე გამოგიჩინდება!

— მართლა, დედი, მამ კარგი მე მზათა ვარ, მაგრამ არა მგონია ცოლი ვინმემ მომცეს. — კვლავ გადისხარხარა ანდრომ...

— ნუ-კი მასხარობ შეილო! ცოლის კი არა, ქალს მოგცემენ-მეთქი. გეყოფა შეილო მასხარობა. ესეა დროცა გაქვს და თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამ სიბერის დროს შენის ცოლის ნახვით დამატკობ და გამახარებ.

— ადვილს საქმეს მავალე დედი! აქამდის მოგიცია, ცოტაც მოიცადე და...

— რაღა მოვიცადო შეილო? ავერ ერთი თვის შემდეგ ოც-და-არვა წელიწადი გაგიტავდება...

— ჰო და მეც სწორედ ამ ერთი თვის გასვლას ველოდები.

— იქნება მართლა, შეილო, წამოიძახა გახარებულმა დედამ. აი შეეშაქო, იქნება არჩეული გყავს კიდევ ვინმე და მე-კ არას მეტყვები?

— აბა შენგან არ მივირს დედი? არ იცი, რომ საქმის გაქიანურება არ მიყვარს? თქმა და გათავება ერთი იქნება.

— ვერე სჯობია შეილო, მაგრამ მე მაინც უნდა შემატყობინო; მე უფრო კარგად ვიცი რომ აქაურს ქალებს და ვიცი კიდევ ჩვენს ოჯახს

ნებისთვის სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების თავიდან ასაცილებლად განუზრახავთ დააარსონ მეცხვარეთა სინდიკატი. ამ ჟამად მუშავდება წესდება („კავ. მეურ.“).

* * * სამიწათ-მოქმედო დებარტამენტი აცხადებს: სამეურნეო საზოგადოებათა და კერძო მეურნეთა შუამდგომლობანი იმის შესახებ, რომ მიეცეთ მათ მუქთად ან იათად სხვა-და-სხვა ძვირფასი და იშვიათ მცენარეთა თესლი, უნდა იქმნან წარმოდგენილნი უთუოდ თებერვლის ნახევრამდე (კავ. მეურ.“).

* * * ბაზის კულტურის გასაუმჯობესებლად, რომელიც ამ ჟამად წლიურად 3 მილიონს შემოსავალს იძლევა, როგორც სატახტო ქალაქების გახეობები იუწყებიან, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ბაზის საგანგებო სადგურები გახსნას ტფილისისა, ბაქოსა, განჯისა და ქუთაისის გუბერნიებში, აგრეთვე ჭყვანისა და სამარყანდის ოლქებში და მერვში, სადაც საუკეთესოდ შესაწავლიან ბაზის მოყვანას (ტფ. ფურც.).

* * * ნაფიცს ვეჭილს ს. დ. სტაროსელსკის, რომელიც ბაქოში სცხოვრობს, თავს დასხმან ბოროტ-განზრახველნი და ორ ადგილას დაუტრიათ ტყვიით, რომელიც უკვე გარდაიცვალა.

ამბობენ, რომ ეს ის ვაჭართანები არიან, რომელთა წინააღმდეგ ამ მოკლე ხანში ზემოხსენებული ვეჭილი იცავდა საქმეს სასამართლოში. ესენი თურმე წინათვე დაპატიმრებულნი ბ. სტაროსელსკის („ნოვ. ობოზ.“).

* * * კომისია, რომელსაც გორჩაკოვი ჰათამჯდომარეობს და რომელსაც მინდობილი აქვს დაზიანებულ გზების გასინჯვა ადგილობრივ, ბა-

ვინ უფრო მოუხდება.

— შენ ხომ არავინა გყავს სახეში?

— მაშ შენზედ მეტი ვილა მყავს შეილო, რომ შენზედაც არ ვიფიქრო.

— აბა მაშ მითხარ ვინ არის?

— როცა საქირა იქნება, მაშინ გეტყვი.

— შენი ნებაა, დედი! თუმცა არც უშენოდ მოგსტყულები. ისეთი რძალი მოგიყვანო, რომ ქვეყანა, დაპნატროდეს!..

— მე-კი ლოდინმა სული დამილია და...

— ცოტაც, ცოტაც დედი!

ანდრო საჩქაროდ წამოდგა სუფრიდამ, მეორე ოთახში გავიდა, თამბაქო აიღო და ოთახში სიარული დაიწყო. დედასთან ლაპარაკმა ანდრო როგორღაც დააფიქრა... უნებლიედ ყველა ახალგაზდა გასათხოვარი ნაცნობი ქალები თვალ-წინ წარმოუდგნენ. ყველანი ისევ მალევე განქრნენ, მხოლოდ წყნარი, მშვიდი, გაბადრული თიკოს სახე შეჩაჩა... სულ რამდენჯერმე, ისიც შეხვედრით, ნახა თიკო; კარგად არ-კვი დაპლაპარაკებია, მაგრამ იმისმა მშვენიერმა თვალეზმა მოხიბლა, მოაჯადოვა ანდრო. დღემდის ანდრო თიკოს ჩვეულებრივ ნაცნობათა სვლიდა. დღეს-კი დედის ლაპარაკმა სულ სხვა გვარად დაატრიალა ანდროს აზრი და ფიქრი. მხოლოდ... მასწავლებელი ვანო? უცებ მოაგონდა ანდროს და

თუმიდგან ფოთში ჩასულა და აქედან წამოვიდა ქუთაისისა და ტყბულას. დაზინებულ გზების შესაკეთებლად ჯერ-ჯერობით ხარჯი ორი მილიონია გამოანგარიშებული. წყალ დიდობის დროს, 31 ოქტომბერს, მტკვარმა მცხეთასა და სადგურ ქსანკას შუა ბორანი მოიტაცა, შიო-მღვიმის მონასტერში გასვლა ამ ჟამად მხოლოდ სადგურ ქსანკადამ შეიძლება. დიდად აზარალა წყალმა აგრეთვე ის ვენახები ძველში, რომლებიც მტკვრის პირად იმყოფებოდნენ.

* * * როგორც ვიცით, განზრახულია სულზედ გარდასახადი მოსპობა ამიერ-კავკასიაში და შემოღებულ იქმნას მიწაზედ გარდასახადი. „მოსკვედ.“-ის სიტყვით, სულზედ გარდასახადი ხაზინას 6 მილიონ მანეთს აღევადა, ხოლო მიწაზედ გარდასახადი მისცემს 8 მილიონს. ასე რომ ხაზინისთვისაც სასარგებლო იქნება ახლან დელი სისტემის გამოცვლა.

* * * ამ ჟამად ქ. ახალქალაქში შოსეს გზა თურმე გაჰყავთ. ეს გზა მანგლისსა და წალკაზედ გაივლისო, სწერს „ტფ. ფურც.“

* * * კავკასიის რკინის გზის სადგ. სამტრედიიდან იუწყებიან 14 ნოემბერს: ღამით წვიმა მოვიდა. გზის შეკეთების მუშაობა შეწყვეტილი იქნა. რიონში წყალმა ერთი საყენით იმატა. სვირის ბორანი წყალმა წაიღო, დარჩა მხოლოდ ერთი ნავი, რომლითაც ხალხი გადაჰყავდამოჰყავთ. წყალი კვლავ მატულობს.

* * * გაზ. „ნოვ. ობ.“-ს გაუჯონია, რომ კავკასიის სამოსწავლო მთავრობას ხელ-ახლად მოუხდენია განკარგულება, რომლითაც მოწაფეებს არ ეძლევაო თეატრში ქანდარზედ ადგილის დაქერისა. ის მოწაფენი, რომელნიც

ძალ დატანებით გაიღიმა. გაიღიმა და ამ ღიმილში თვისი უპირატესობა წარმოუდგა. „განოსთანა ლაწირაკი, ორ გროზიანი მასწავლებელი მე ანდროს წინ დამიდგეს? ერთი ჩემი სიტყვა კმარა, რომ თიკოს გულიდამ ვანო შარშანდელი თოვლისავით აიგავოს... თიკო განათლებული, კვიანი ქალია და რა თქმა უნდა ვანოზედ უპირატესობას მე მომცემს. განოსთან მხოლოდ სკოლა ახლოვებს და სხვა არაფერი. გაჭირვებამ ატვირთებინა უმადური შრომა, თორემ უგვევლია პირველსავე შემთხვევას ელის, რომ გაჭირვება და უმადური შრომა თავიდან აიცილინოს“...

ამ იმედებით წათამამებული ანდრო დღეს დილით თიკოსთან გახვედრით მივიდა და სთხოვა დღეს ვანომად უეჭველად მეწვიეთო. თიკომ თუმცა ცივი უარი უთხრა, მაგრამ ანდროს მოშორება ასე ადვილი არ იყო. ყველა მიწვეული სტუმრები დასახელა ანდრომ და ცბიერის დიმილით დაუმატა.

— თქვენი ბიძაშვილები, ყველა მასწავლებლები და ვანო პატარაშვილიც იქნებიან, რასაკვირველია. თიკო მიხვდა, რომ ანდრო არა სცილდებოდა და უნებლიედ დასთანხმდა.

— უეჭველად გელით, გაუმეორა ანდრომ გამოთხოვების დროს.

— ვნახოთ, უპასუხა თიკომ და ოთახში შემოტრიალდა.

წინააღმდეგ ამ განკარგულებისა მოიქცევიან დათხოვილი იქნებიან სასწავლებელია.

* * * დ. ნავამარი, (გურია): ეს ოთხი დღეა, რაც შეუწყვეტელად წვიმა მოდის, მდინარე სუფსა აღიდა და ნავამარის ხიდი ბოძებინად ამოთხარა და წაიღო. ხალხი ძლიერ შეწუხებულია, რადგან ამ ხილს თითქმის ცხრა საზოგადოება სწვდებოდა. ს.ს. ასკანას და ბაილოეთს წყალ დიდობის დროს ამ ხიდზედ გაქონდათ თავიანთი ნაწარმოები: სიმინდი, ღომი, ღვინო და ხილეულობა ფოთში გასასყიდად. დიდი დასაკლისია ეს უხილობა არა მარტო ნავამარისათვის, არამედ მთელი ცხრა საზოგადოებისათვის. წინედ ხილის უქონლობის გამო არა ერთხელ მომხდარა აქ საცოდავობა: ბევრი კაცი შეუწირავს წყალს უხილობის გამო, გაჭირვებული გლეხი ხშირად გამხდარა მსხვერპლი ადიდებულის მდინარისა, როდესაც გაქონებია წყალს გაღმა სიმინდი თუ ხილეულობა. რასაკვირველია, კიდევ ეს დღე დაადგება აქაურობას, თუ ხიდი არ გაკეთდა ხელ-ახლად. იმედია აქაური მოხელენი რაიმე საშუალებას იხმარებენ ახლის ხილის აგებისათვის.

* * * დღეს, 17 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ.ნ. რ. ი. დანილოვიჩი წიკითხავს მოახსენებს „ერევნის გუბერნიის ეკონომიურისა და სამეურნეო გამოკვლევის შესახებ“. დასაწყისი საღამოს რვა საათზედ.

* * * საცხენისილამ (თელავის მაზრა) დაღესტანში გზა-ტყევილი გაჰყავთ და მუშაობა უკვე დაწყებულია (ტფ. ფურც.).

* * * შიო-მღვიმის მონასტერს ერთი შენობა კიდევ მოჰმარტებია. აუ-

დაბინდა. ანდრომ სახლი გაჩაღებინა, ახალს ტანისამოსში გამოეწყვა და სადღესასწაულოდ მორთულს დარბაზში გამოვიდა. მიათვლიერ-მოათვლიერა დარბაზი და რაკი დარწმუნდა, რომ ყოველიფერი წესსა და რიგზეა, კედლის დიდ საკრეს წინ შესდგა. თმა-წვერ-ულვაშზედ ხელი გადაისო, მედიდურად ჩახველა და დარბაზში სიარული დაიწყო. უცებ შუა დარბაზში შესდგა და უბილამ საათი ამოიღო.

— ცხრის ნახევარია, წამოიძახა ანდრომ და სარკესთან მიიქრა. ესე-კი დროა, საცა სტუმრები მოვლენ. მგონი არა მიჭირს-რა! ტანისამოსი შესაფად მიხდება! სილამაზე? ჰა, ჰა, ჩაიციან ანდრომ... ჩვენს ოღრო-ოღრო, უეჭვრილა ემწვილ კაცებზედ, რა თქმა უნდა, მე უპირატესობა მაქვს. მაგრამ რა დამემართა? სწორედ მომწამლა, მომხიბლა იმ ცუდრუმელა, იმ შეჩვე... ფუ, ეშმაკო, მშვენიერმა გოგონამ. რა თქმა უნდა თიკო ჩემია... ანდრომ დარბაზს თვალი მოავლო. ამ სიმდიდრე-სიყვითეს სწორედ რომ მშვენიერი დასახლისი-დააკლია და ეს დიასახლისი იქნება თიკო... წინა კიბეზედ ფეხის ხმამ ანდროს ოცნება შესწყვიტა. საჩქაროდ თავზედ ხელი გადაისო, ღონიერად ჩახველა და სტუმრების მისაგებებლად გატრიალდა. ნახევარს საათში ყველა მოწვეული სტუმრები მოგროვდნენ. ანდრო გაფაციცებული

შენებიათ კარგა მოზრდილი-ქახლი, ამ სახლში ექნებათ სადგომი მღვდელთა და მონაზონთა და ურთი ნახევარი ამ სახლისა ამისათვის არის დანიშნული, მეორე ნახევარი დანიშნულია მლოცავთათვის, რომელნიც მთელის საქართველოდამ დადიან ხოლმე, ნამეტნავად მონასტრის დღეობაში. ნახევარი, რომელიც მლოცავთათვის არის, იმოდენად დილია, რომ რამდენსამე ასს კაცს დაიტევსო („კავ.“).

* * * გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის შუხარტისავან, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა და ცდილობს გამოიკვლიოს მისი კანონები, ამას წინედ მოუვიდა წერილი ჩვენს პროფესორს მელიქიშვილს. შუხარტს მიუმართავს წერილებით თითქმის ყველა ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებისათვის. ის ახლა დიდს საყვედურს იწერება იმის შესახებ, რომ მის წერილებზე პასუხი თითქმის არავის არ გაუცია. პროფ. შუხარტი მოკლე ხანში დაბეჭდავს მესამე წერილს ქართული ენის შესახებ, სადაც ილაპარაკებს საზოგადოდ დედა ენის მნიშვნელობაზე და კერძოდ-კი ქართულისაზე. წერილს ექნება საგნად აღძრას ქართველ ახალგაზდებში თავის დადა-ენის სიყვარული და თანაც სურვილი, რომ შეუდგნენ თავისი ენის მეცნიერულად გამოკვლევას. ეს წერილი, როგორც შევტიყეთ, პროფ. მელიქიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდება ქართულ ენაზე.

* * * დ. ო-ქუმი: ცოტა არ იყოს დაგვიანდა ამ პატარა ამბის გამოგზავნა, მაგრამ იმედია რედაქცია მიიღებს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ აქედან ფოსტა ვალის კვირაში ერთხელ ჭეფრონშიაღა ორ კვირაში.

22 ოქტომბერს დაბა ოქუმის ხარების ეკლესიაში იქნა გადახდი-

დადიოდა სტუმრებთა შორის; ყველას ელაპარაკებოდა, ზოგს ეხუმრებოდა და ცდილობდა რითიმე გაემხიარულებინა... მაგრამ უფრო ხშირად კარებისაკენ იყურებოდა. თიკო არსდა სიანდა. „რად დივივიანა? ჰფიქრობდა ანდრო. იქნება მომატყუა, მაგრამ არა, ჯერ იმის ბიძაშვილებიც ხომ არ მოსულან!

თიკომ გადასწყვიტა ანდროსთან არ წასულიყო, მაგრამ ძალუა-ბიძაშვილებმა დასძლიეს და სანამ დაათანხმებდნენ, კარგა დრო გავიდა. ამიტომ თიკო და იმის ძალუა-ბიძაშვილები ყველაზედ გვიან მივიდნენ.

ახალ მოსულთ ანდრო გაეგება და დაგვიანებისათვის სიცილით საყვედური უთხრა.

დაგვიანების მიზეზად ქალებმა თიკო დასახელეს.

რაკი სასურველი სტუმარი მოვიდა, ანდრო ერთ-ერთად გამხიარულდა და დარბაზში დავლურ-ლეკური გაჩაღდა. ლეკურს ცეკვა მოჰყვა.

ანდრომ არ ახანა და თიკოსთან მიიქრა.

— დაგვიანების ჯარიმად პირველი „კადრელი“ ჩემთან უნდა! იცეკვოთ.

— მაგ ჯარიმიდამ რომ გამანთავისუფლოთ, ძლიერ დამავალებთ, უპასუხა თიკომ.

— ყოვლად შეუძლებელსა მთხოვთ; წესდა მაქვს, რომ ჩემს სახლში უშეკველად ყველა უნდა მხიარულებდეს. თქვენ როგორღაც მოწყენილი ხართ;

ლი პარაკლისი ბლოლინი იოანე ჩხენკელისაგან ჩვენი მსტოვანი პოეტის თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავის სახელზედ. მით უფრო საგულისხმოა ეს გარემოება, რომ სამურზაყანოში, სადაც იშვიათად თუ მოიპოვება საერთო გულ-შემატკიავარი ადამიანი, იჩინა თავი საზოგადოებაში საერთო სურვილმა, რომ მიეკედლონ თავიანთ მოძმეთ ყოველთვალ-საინო საქმეში. ხალხი იმდენი შეგროვდა, რომ თითქმის ტევა არ იყო ეკკლესიაში. მ. ბლოლინი-მა აღუხნა საზოგადოებას რაფიელის მნიშვნელობა ქართველ ერისათვის და მასთან აღუწყო მისი (რაფიელის) მოკლე ბიოგრაფია.

ქ მ რ ი ა ს მ რ ე მ ს ი ა .

მუთანი. 8 ოქტომბერს ქუთაისის საქალბო გიმნაზიაში გამართეს ლიტერატურულ-მუსიკალური დილა. ამ გვარი გონივრული და სასიამოვნო გართობა ქუთაისში ისე ძვირად არის, რომ ძალა-უნებურად იზიდავს აქაურს მეთვალყურის ყურადღებას. წინა დღეს ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოსწავლე ქალმა მიმიწვია ამ ლიტერატურულ დილაზე; მე, რასაკვირველია, დიდს სიამოვნებით მივიღე ეს დაბატყება. შევედი გიმნაზიის დიდს ზალაში, და ჩემს თვალს წარმოუდგა საუცხოო სურათი: მთელი ეს თვალ-შეწვდენი ზალა ისე გატენილი იყო მოსწავლეებით, მსწავლეობებით და მშობლებით, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. სახეზე ყველას სიამოვნო ღიმი უქროდა, ყველა სიამოვნებით უკვეროდა ამ მიმზიდველ გართობას.

ლიტერატურულ დილას დაესწრნენ ყოველად-სამდღელო ბესარიონი, ბ. გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და სხვა საპატიო კაცი და ქალნი. პატარა მოსწავლე ქალები თამაზად და

ეგ ჩემი ოჯახის შეურაცხყოფად მიიჩნია...

ამ თქმაზე გამოტრიალდა თავის ვიზ-ავის პირ-და-პირ ორი სკამი დადგა და კვლავ თიკოსთან მივიდა.

— ადგილი მზად გახლავთ, მობრძანდით.

ანდრომ კოხტად მოიგრიხა მკლავი და თიკო ხმა ამოუღებლივ გაჰყვა. მოცეკვავე ახალგაზღვრა ჯერ არ დალაგებულიყო. ზოგი სკამს ეძებდა, ზოგი ქალს, ზოგი ადგილს. ამასობაში ცეკვის დაწყება ჰიანურდებოდა. ანდროსაც ეს უნდოდა. თვისი მჭევრ-მეტყველობა მოიკრიბა და მცირე სიჩუმის შემდეგ ნელის ხმით ჰკითხა თიკოს.

— უკაცრავად-კი ნუ ვიქნები და მე როგორც მასპინძელს ძლიერა მწყინს, რომ თქვენ მოწყენილი ხართ.

— მე მოწყენილი არა ვარ! მიუვო თიკომ.

— ვერ მომატყუებთ! სახე ადამიანის უტყუარი ბუნებრივი სარკეა, მხოლოდ... უღონო ვარ რითიმე გიმკურნალოთ, რადგან თქვენი უგუნებობის მიზეზი არ ვიცი. თუ გამაბედნიერებთ და გამიზიარებთ მიზეზს, მერწმუნეთ სიამოვნებით დაგვხმარებთ და ვეცდები თქვენი ნდობა და ვიმსახურო.

გიმეორებთ, რომ სრულიად არა ვარ მოწყენილი და თუ მაინც-და-მაინც ვაღამეტებული მხიარულება არ მეტყობა, მიზეზი ისეთია, რომ

მოხდენილად გამოდიოდნენ საზოგადოების წინ და კითხულობდნენ ლექსებს და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს მკაფიოდ, სრულის შეგნებით და ცოდნით. ლექსები წაიკითხეს რუსულსა და ფრანგულს ენაზე, მხოლოდ ერთმა ქალმა, თოფურ-რიძისამ, ქართული ლექსი „სამშობლოს სიყვარული“ ან. ფურცელბაძისა წაიკითხა.

ურიგო არ იყო ხორცი: პატარა ქალების გუნდმა მწყობრად და სასიამოვნოდ იგალობა რამდენიმე სიმღერა ქან მესხის ასულის ლოტბარობით. მაგრამ ყველაზე უფრო სიამოვნო შთაბეჭდილება იქონია პირადად ჩვენზე და მთელს იქ დამსწრე საზოგადოებაზე აბდუშელიშვილის ორმა ქალმა: ისინი ისე მშვენივად უკრავდნენ რიალზე, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს.

მაშა ამ ქალებისა, აქაური ნოტარიუსი, იმდენად შეძლებული და გონიერი კაცია, რომ ეცდება თავის ქალებს გზა გააკვლევინოს და ნამდვილი ვერობიული მუსიკალური განათლება მიადებინოს. ეს პირადად მისთვისაც სასახლო იქნება და ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვისაც სასარგებლო, მით უმეტეს, რომ ერთი მათგანი იჩენს საკომპოზიცია ნიქს, რაცა ფრიად საჭიროა ჩვენის საზოგადოებისათვის.

რამდენად ამგვარი შრომა და ზრუნვა მსწავლეობების მხრივ სანაქებო და მოსაწონია, იმდენად დასაძრახია და საზიზარია ის გარემოება, რომ ზოგიერთი მსწავლეებელი ახალგაზღვრების ასცილებია თვისს პირ-და-პირ დანიშნულებას და მოვალეობას, მოსდებია ღობე-ყარეს და არ იცის და არ გაეგება, რა საგანზე საუბრობს და რა გრძობაზე მოქმედებს? ახალგაზღვრების მსწავლეებელმა არაოდეს არ უნდა დაივიწყოს ის წმიდა მოვალეობა, რომ იგი არის სულიერი მამა თავისის მოსწავლეებისა, რომ

არც თქვენ და არც საზოგადოდ ვისმე შეეხება.

— ახლა-კი აღარ ვიცი, რა გითხრათ, მაგრამ მიეხვდით... უმეტესია თქვენი სკოლის საქმე შესაფერად არ მიდის.

— რაღა გგონიათ? სკოლის საქმე ძლიერ კარგად მიდის.

— მაშ თქვენი სურვილი და იმედები ჯეროვნად დაკმაყოფილებულია?

— მოლოდინზედ უმეტესად.

— არა მგონია! მაპატიეთ-კი და ეჭვი მაქვს!

— რატომ?

— იმიტომ ბატონო, რომ ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია ახალგაზღვრების განათლებული, სიცოცხლით სავსე ადამიანი კმაყოფილებას გრძობდეს მხოლოდ იმაში, რომ მთელს მისს ჯან-ღონეს სხვის ბავშვების სწავლას და აღზრდას ალევდეს; მერე მაშინ, როცა იმისი შრომა ჯეროვნად არა ჯილდოვდება.

— შემცდარი აზრი გქონიათ ბატონო! განა ყველა ადამიანი მხოლოდ პირად საზრებლობა-სიამოვნებაზედ უნდა ზრუნავდეს?

— დრო ისეთი დავიდგა, რომ საკუთარს კუჭზედ ზრუნვა თავს დაგვატყდა და საჭირ-ბოროტად გავვიხდა. ესეც ხომ ქეშმარიტებაა, რომ შემთხვევაზედ აშენებული შემოსავალი მეტი უმანძილო და უიმედოა! საზოგადოება მეტი ცვალებადია, მე-

ლოზედაც უნდა მოქმედებდეს კეთილი სიტყვით და გონივრული მაგალითით. მსწავლეობისათვის სულ ერთი უნდა იყოს, რა ტომს ეკუთვნის მისი მოსწავლეები: რუსისას, ქართველისას, თათრისას თუ ლეჩისას. სასწავლებელში პოლიტიკას ადგილი არა აქვს: სასწავლებელი არის ის წმიდა ტაძარი მეცნიერებისა, სადაც ყოველ ტომისა და წოდების ხალხს თანასწორი უფლება აქვს შევიდეს და შეიძინოს იქ სწავლა-მეცნიერება და კეთილ-შობილური გრძობანი. ამ ანბანურ ქეშმარიტებას ვამბობთ იმ მიუქმა-მოთქმისა გამო, რომელიც ამ ცოტა ხანში მოახდინა ერთმა მსწავლეებელმა. არ ვიცი, რამოდენად მართალია და ამბობენ-კი, რომ იმან მიმართა ახალგაზღვრებს ქართველებს და უთხრა, რომ თქვენ არც ისტორია გქონიათ, არც მწერლობა, არც წარსული და არც ხალხსწობაო. თუ ეს ამბავი მართალია, საოცრად რჩება ჩვენთვის ის გარემოება, თუ რამ აიძულა ეს პატივცემული პედაგოგი, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებულა და ასე თამაზად ყოყმობს და სჯის ისეთი საგნის შესახებ, რომელიც იმან არ იცის, არაფერი გაეგება და არც აქვს სურვილი შეიგნოს რამე. რად შეურაცხყოფს ახალგაზღვრულეთა წინაშე ხალხის ისეთს წმიდათა-წმიდას, როგორც არის გრძობა სამშობლოს სიყვარულისა? სად და როდის გამოიკვლია ამ მეცნიერმა პედაგოგმა, რომ ქართველებს არა აქვთ არც ისტორია, არც მწერლობა და არც არაოდეს ითვლებოდნენ იგინი ნაციად? განა სამწუხარო ქვეყანა არ არის იმ მსწავლეობისა, რომელიც თავის ნორმ მოსწავლეებს ამგვარ აზრებს გააგონებს? რა საჭიროა, კაცმა კაცის უკეთესი გრძობა შეებლოს, გააუბატოროს? აქ ძალა-უნებურად მაგონდება პა-

ტად მალე იცის ახალი ხილის დაძველება. რაკი ცხოვრება ასე მოეწყო, მეტი რა ღონე გვაქვს, რომ დროზე უფრო საფუძვლიანს და იმედინს საქმეს არ მოვიკიდოთ ხელი. კარგად მომდგარ ბედს ხელი არ უნდა ვკრათ, თორემ შემდეგ, როცა ცხოვრების ჩარხი უკუღმართად დატრიალდება, ძნელია ერთხელ დაძაბუნებულის წელის გასწორება.

— სრულიად არ მესმის, რა გინდათ მაგითი თქვათ?

— გაუგებარი, ვგონებ, რომ არა არის-რა... მხოლოდ თუ თქვენის კეთილის მოსურნეს გულ-ახდის ლაპარაკს არ გაჰკიცხავთ, საწყენად არ მიიღებთ, უფრო გარკვევით მოგახსენებთ.

— ბრძანეთ!

თქვენი გულწრფელი წადილი, უანგარო შრომით მოძმეთა სამსახური, დიად რომ დიდად საქმებრი და თანაგრძობის დირსია. პირველი მე მოვალედა ვსთვლი ჩემს თავს, რითაც და როგორც-კი შეიძლება დაგვხმაროთ და ხელი შეგუწყოთ თქვენს საქმეს, მაგრამ... ვიმეორებ ბატონო! მეც და ყველა სხვანი აწმყო ცხოვრების ღვიძლიშვილები ვართ და როგორც მოგახსენეთ ძვალ-ბილიში პირადი სარგებლობა გვაქვს გამჯდარი, საზოგადო საქმეში ჯეროვანს მუყაითობას, სიმხნევს ვერ ვიჩენთ. არა ვერიდებით კიდევ, თუ ჩვენში ვინმე უკუღმართობის მეტროლე გამოჩ-

ტარა შემთხვევა, რომელიც ამ გასულს ზაფხულს პატივცემულ გრაფინია უვაროვისას მოუხდა სვანეთში მოგზაურობის დროს. როცა გრაფინა მღვდელ ბესარ. ნიქარაძემ (თავისუფალმა სვანმა) მიიყვანა ერთ ძველს ეკკლესიასთან, აქ დახვდათ მათ მოხუცებული სვანი, ერთგული მცველი ამ ეკკლესიისა; მოხუცმა ჰკითხა მღვდელს: რისთვის მოსულა გრაფინია ამ ეკკლესიასთანაო? როცა პასუხად მიიღო, რომ ქალს ეკკლესიაში შესვლა და დათვალიერება უნდაო, მოხუცმა უკმაყოფილოდ თავი გააქნა და ასე მიმართა მღვდელს: „დასაბამიდან ამ ეკკლესიას ქალის ფეხი არ მიჰკარებია, და თუ ესლო ეს დედაკაცი აქ შევიდა და ეს ცოცხალი არის, იგი ცოცხალი უნდა კისერებდ იყოსო“. პატივცემულ გრაფინიას არ გამოეპარა მოხუცის სვანის აღვლება და იკითხა მიზეზი. როცა მღვდელმა მოახსენა გრაფინიას მოხუცის შეხედულება და ჩვეულება, ამან უარი განაცხადა ეკკლესიაში შესვლაზედ იმ მიზეზისა გამო, რომ არ შეეღობა თავ-მოყვარეობა და გრძობა-ჩვეულება იმ ხალხისა, რომელიც თითქმის ველურ ხალხად ითვლება! რანაირი თავაზიანობაა ამ პატივცემულ ქალის მხრივ და რაკ აღნიერებაა ხსენებულ პედაგოგის მხრივ?!

ზარელი.

ქუთაისი, 27 ოქტომბერი, 1895 წ.

რუსეთის ცხოვრება.

ამ დღეებში დაიწყო მუშაობა კომისიამ, რომელსაც ნაფიც-ვეტილომის რეორგანიზაციის საქმე აქვს მინდობილი. პროექტით უნდა დაარსებულ იქნას განსაკუთრებული განყოფილებები სასამართლო პალატებთან, რომლებმაც უნდა განიხილონ ვეტილოთა საქმე, როდესაც ეს

ნდა, სანაქებო მხნეობით ჩვენს დავრდომილობას გაუმკლავდა... სამწუხაროა, მაგრამ ქეშმარიტებას ვერ დავებლებით. ჩვენი უკუნეთში ყოფის თავდასაღწევს, გზის მაჩვენებელს ლამპარს ხორცმეტისავით ჩვენსავე ხელით ვკლავთ რას ვიზამთ, პირადობა სალოცავ კერადა გავგზდომია და საზოგადოება, იმისი საქმე ყუის ბალიშზედ მიგვიძინებია. საჭირო მტკიცე ერთობა-სიყვარული, ეს ეროვნობის კეთილდღეობა-წარმატების დედა ძარღვი, უფიცობა პირადი თუ ჩამომავლობითი ყოყმობით ჩვენში მთლად ძალა მოკლებულია და ძლივს-ლა ფეტიქავს და...

დუღუქიანურის ხმამ ანდროს ლაპარაკი შეაწყვეტინა. ახალგაზღვანი ცეკვამ გაიტაცა... ცეკვა გათავდა, ანდრომ მადლობა გადაუხადა თიკოს და მეორე ოთახში გავიდა და მომზადებული ვახშის სუფრა გადაათვალიერა. ყველაფერი მზად იყო. ანდრო ისევ დარბაზში გამოვიდა და სტუმრები სუფრაზე მოიწვია. ვახშამზედ საზოგადოება უფრო გამხიარულდა, გამხიარულდა მეტადრე მასპინძელი და კახურს ძალას ატანდა. კახურმა მალე გასჭრა. აირია მონასტერი. სიძღერა, სიცოლი, ხმაურობა დომხალივით არია და ყურთა სმენა აღარ იყო. ქალები მიჰხდნენ, რომ ნადიმის გათავება საჭიროა და სუფრიდან აიშლნენ. დარბაზში ქალებმა კვლავ ცეკვა გა-

უქანასკნელნი პატივისცემით არ ეწყობიან ხოლმე სასამართლო სასამართლო, და პასუხის-მეტყველება გახსდნენ, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს კიდევ დაითხოვონ ხოლმე. მცირე-მნიშვნელოვანი საქმეები გარდაეცმა ოლქის სასამართლოებს, რომელთაც უფლება ექმნებათ დამნაშავეთ შენიშვნა მისცენ და საყვედური გამოუცხადონ ხოლმე.

სტატისტიკური ცნობანი სომხეთის რაიონების შესახებ მცირე აზიში.

ხალხს, რომელიც პოლიტიკურს თვით-არსებობას თხოულობს, სხვა პირობათა შორის, მოეთხოვება აგრეთვე ჰქონდეს განსაზღვრული ტერიტორია, რომელზედაც იგინი ან განსაკუთრებულად სცხოვრობენ, ანდა მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ. ეს უპირველესი პირობა, რომ სომხებმა ოსმალეთში თავისი საკუთარი სახელმწიფო დააარსონ, სწორედ ეს არ მოეძვეებათ სომხებს, რასაც ამტკიცებს ბნის კინეს (V. Cuniet) წიგნიდან ამოკრებილი საბუთები; წიგნის სახელია ეწოდება: La Turquie d'Asie, 1890—1894 წ.

სომხები აზიში 8,134 ოთხ-კუთხ მილის მანძილზედ არიან დასახლებულნი, ცხრა სხვა-და-სხვა ვილაიეტში: არზრუმისა, ვანისა, ბითლისისა, ხარფუთისა, დიარბექირისა, სივანისა, ალექპისა, ტრაპიზონისა და ადანისში.

ამ ვილაიეტებში, სადაც სულ 5,999,125 მცხოვრები ითვლება ორივე სქესისა, ითვლებიან მუსულმანები: 4,453,250 სული (74,9%), სომხები 913,125 სული (15,1%), მართლმადიდებელნი და სხვა ქრისტიანნი 632,750 სული (10,6%). მაშასადამე, სომხები სულ მცხოვრებთა მეექვსედს ნაწილს არ შეადგენენ, მაშინ როდესაც მუსულმანები მცხოვრებთა

ჩაღეს. მეორე ოთახში-კი კახურის პატივცემელნი სუფრას არა შორდებოდნენ.

დილის ხუთს საათზედ სიამოვნებითა და მხიარულებით დამტკბარი სტუმრები გააცილა ანდრომ და თავისს საწოლს ოთახში შევიდა. მართლად რჩენილი ანდრო საღამოს და ვახშის ყოველივე წვლილს გადაფურცვლას შეუდგა და კმაყოფილებით თქვა: ყველა ჭ ყველაფერი სწორედ რომ საუცხოოდ იყო მოწყობილი. მხიარულად და წესიერად ცეკვა ჩაიარა. მაგრამ ყველაზე უკეთესი და დირს სახსოვარი ჩემი და თიკოს საუბარი იყო. რა საუცხოოდ ვლაპარაკობდი? რამ მომაგონა ყველა ის? როგორც გინდა იანგარიშე და სწორედ კარგი აზრები წარმოვსთქვი. ჩემი თიკო ჩავაფიქრე. იტყვის: ანდრო კეთილი, განათლებული და პატიოსნების ბუდე ყოფილაო... ერი ბიკო... ცალიერი გოგრა... გოგრა ვარ დალოცვილი... მაგრამ ხუმრობა გაშვებით და რა ბედზე წვიკითხე გუშინ რომელიც წიგნი? კარგად-კი დამხსომებია? ანდრომ გულიანად გადინახარა.

ფანჯარაში შემოპარულმა დილის სინათლემ ანდროს ძილი მოაგონა, ტანისამოსი გაიხადა და მომზადებულს ლოგინში ჩაწვა.

(შემდეგი იქნება.)

რიცხვით ხუთჯერ აღმატებთან სომხებს.

მთლად სომეხ მცხოვრებთაგან ორი მესამედი შემდეგ ხუთ ვილაიეტში სცხოვრობს: არზრუმისა, ვანისა, ბითლისისა, ხარფუთისა და დიარბექირისაში, რომლებიც 3,702 ოთხკუთხ მისს შეიცავენ. სულ ამ ხუთს ვილაიეტში სცხოვრობს 2,642,000 სული, რომელთაგანაც მუსულმანნი ითვლებიან 1,828,875 სული, (69%), სომხები 633,250 სული (24%) და დანარჩენნი ქრისტიანნი 179,875 სული (7%). აქედან ჩანს, რომ სომხები შეადგენენ სულ მცხოვრებთა მეოთხედს ნაწილს.

ამ რიგად სომეხთა ტომის უმეტესობას უჭირავს ადგილი 331 ოთხკუთხი მილი, რომელსაც შეადგენს 7 კაზი ვანის ვილაიეტისა და ორიც მუშის სანჯაკისა (მაზრაა) ბითლისის გუბერნიაში. ამ ადგილებში, რომლებსაც მსახლრავს ვანის ტბიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ-სამხრეთით ორი ცალკე ნაწილი, სცხოვრობს სულ ხუთს ვილაიეტის სომეხთა ერთი მეხუთედი. მცხოვრებთა საზოგადო რიცხვით, რომელსაც შეადგენს სულ 282,250 სული, ითვლება: მუსულმანი 96,500 სული (34,7%), სომხები 184,750 სული (65%), ხოლო დანარჩენი ქრისტიანები 1,000 სული (0,3%).

რუსის სტატისტიკოსი, რომელსაც ეს კინის წიგნი მოყვანილი ცნობები შეუკრებია, ამბობს, რომ ამ პატარა ადგილებზე (შეადგენს სულ 1/2-ს აზიის ცხრა ვილაიეტისას), სადაც მხოლოდ მცხოვრებთა 1/2 ნაწილია დასახლებული, ძლივს აღმატებიან ორჯერ სომხები მუსულმანებს. ამ რიგად ეს სომეხთა ცხრა კაზი, ანუ ორი სანჯაკი (ისაც სრული არ არის) შეადგენს მხოლოდ ორს პაწია კუნძულს მთელს ოსმალეთის მხარეში, რომელიც 159 კაზისა და 25 სანჯაკადმ შესდგება.

აი, ასეთს საძრკველზე შენდება სომეხთა ფანტასტიური სამეფო. იმ უფუნურთა და გაბრეყებულთა აზრით, რომლებიც მხოლოდ სასაცილონი იქნებოდნენ, რომ მათ გამო სისხლის ნაკადული არ ინთხოდეს, თვითვე უფროსი სომხის საზარაფო, თვითვე უფროსი ჩარჩობის ბუდე შეადგენს მათ-მიერ გამოგონილს სომეხთა სახელმწიფოსაო, რომლის შექმნისათვისაც, სომეხთა პოეტის რაფუის სიტყვით, საჭიროა მხოლოდ სამალეთი, რუსეთი და სპარსეთი აღივარონ დედამიწიდანაო, ამბობს ერთი თანამშრომელი ვაზ. „მოსკოვის ვედომ“-სა.

უცხოეთი

საზრანეთი, რადიკალთა სამინისტრომ, როგორც დებეშამ გვაცნობა, ძალიან გაიმარჯვა ამ დღეებში. პარლამენტმა დიდის ხნის კამათის შემდეგ შეიწყნარა სამინისტროს პროექტი მევიკიდრეობაზედ პროგრესიულის გარდასახადის დაწესებასა. კონსერვატორები და ოპორტუნისტები მეტად სცილდობდნენ, რომ კანონ-პროექტი უარ-ეყოთ, მაგრამ პარლამენტმა პროექტი მიიღო 404

ხმით წინააღმდეგ 125. ასეთს გამარჯვებას არავინ არ მოელოდა. სამინისტროს მტრები დიდს მნიშვნელობას აძლევენ ახლად მიღებულს კანონს. ვაზეთი „ტან“ ამბობს: „ზოგიერთების აზრი, ვითომც პარლამენტმა ახალის კანონის მიღებით მაინცა და მაინც აჩაფრად შესცვალა საფრანგეთის საფინანსო სისტემა, ვითომც პროგრესიულსა და უწინდელ სისტემის შუა განსხვავება არ არისო, ძალიან შემცდარია. აგრეთვე შემცდარნი არიან ისინი, ვინც იმედოვნებენ, რომ, რადანაც გარდასახადის რაოდენობა მცირეა, ახალს კანონს არ ექნება დიდი მნიშვნელობაო. საქმე იმაში-კი არ არის, დიდა თუ პატარა გარდასახადი, საქმე—თვით პრინციპია! პრინციპიალურად მიღებულია პროგრესიული გარდასახადი და ეს ძირიანად შესცვლის ჩვენს საფინანსო სისტემას“.

ლონდონში დაატუსაღეს ცნობილი არტონი, რომელსაც კარგა ხანია გამწარებთ დაემებს პარისის პოლიცია. ეს არტონი პანამის საქმეში იყო გარეული და კიდევ ბევრი ბოროტება მპრალდება. ვაზეთის სიტყვით, არტონის გასამართლება ბევრს ბოროტებას გამოამჟღავნებს, სხვათა შორის, პარლამენტის ბევრ დებუტატთა შესახებაცო.

1900 წლის პარისის მსოფლიო გამოფენის მომზადებელმა კომისიამ შეიმუშავა უკვე პროექტი, რომლიდან, სხვათა შორის, ჩანს, რომ გამოფენისთვის საჭიროა 100 მილიონი ფრანკი. 20 მილიონს კომისია მთავრობიდან თხოულობს, 20—პარისის ქალაქიდან და დანარჩენი 60 მილიონი განუზრახავს მომგებიანი ბილეთების გამოცემით აიღოს.

დებეშა

(რუსეთის დებეშთა სააგენტოსაგან).

16 ნოემბერი.

პარისი. ალექსანდრე დიუმა გარდაიცვალა.

ბრესტი. აქ მოვიდა კრესიერი „რიურიკი“, დიმიტრი ღონსკოი და „გროზიაში“.

კონსტანტინოპოლი. ამბობენ, ელჩები დაბეჯითებით ახოულობენ მეორე სტაციონერის შეყვანის ნება მიეცესთ ბოსფორში. ექვი არა აქვთ, რომ პორტა თანხმა იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბერი.

გაყიდვ. მისი.	გაყიდვ. მისი.	გაყიდვ. მისი.
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო. 5%	7,80	7,80
რვაენობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	—	207
4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა	—	100 1/2
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა	—	101
5% იმავე ბანკისა	—	99 1/2
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	—	101
5% იმავე ბანკისა	—	99
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრებულო საზოგადოებისა	—	98

პანსხალეზანი

ბირეული კერძო სამეურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(აუჯიაში, კარანცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულეზანი სახირურგო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანა, 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქადა ა. ო. სარკიან შერბინანისა, 10—11 საათ. სნეულეზანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ო. ფ. ზრატსკევიანი, 12—1 საათ. სნეულეზანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. ჯანაშვიტიანი, 1—1 1/2 საათ. სნეულეზანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოაობით:

ო. ფ. ზრატსკევიანი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. გ. გურგა, 6—7 საათ. სნეულეზანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათ. ამდღის.

ბ. გ. გურგა. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რეცე-დარიგების და რეცე აწერის ფასი ათი შუარი; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით, სამეურნალოს საწლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დაკრეტორი სამეურნალო დაქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (857—1468)

გბილის ექიმი

ს. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №14—16

ავადმყოფის მიიღებს:

დღით 10-დან 2 საათამდე.

სალამოთი 4-დან 6 საათამდე.

კვირა-შაბამ დღეაში

დღით 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—49).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერაკითხვის გამავარცლებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ზარათაშვილის

ლექსები და წერილები.

გომოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

მამის ერთეული.

მთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შიშდტისა

ფასი 15 კ.

მტრედი.

მთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შიშდტისა

ფასი 10 კ.

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანცელეიმონისა. თარგმანი

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 27-й ГОДЪ ИЗДАНІЯ.
Еженедѣльный иллюстриров. журналъ литературы, политики и современной жизни, со многими бесплатн. приложениями и преміями.

НИВА 1896 г.

Гг. подписчики „НИВЫ“ получаютъ въ теченіе 1896 года: художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго въ себя въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

52 NONO 12 ТОМОВЪ ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ Д. В. ГРИГОРОВИЧА,

вновь пересмотрѣннаго и исправленнаго самимъ авторомъ, съ приложеніемъ при первомъ томѣ автографа и портрета Д. В. Григоровича, гравированнаго на стали Брокгаузомъ въ Лейпцигѣ. Полное собраніе соч. Д. В. Григоровича будетъ выдано при „Нивѣ“ въ теченіе одного 1896 года, въ 12 томахъ, которые будутъ выходить въ началѣ каждого мѣсяца и заключать въ себя всѣ сочиненія Д. В. Григоровича, а именно:

Томъ I. „Петербургскіе шарманщики. Сосѣдка. Лотерейный балъ. Деревня. Антонъ Горемыка. Вобль. Капельмейстеръ Сусликовъ. Четыре времени года“. Томъ II. Похождения Накатова или недолгое богатство. Неудавшаяся жизнь. Свѣтлое Христово Воскресеніе. Свистулькины. Мать и дочь. Томъ III. Проселочныя дороги. Ром., ч. I. Томъ IV. Проселочныя дороги. Ром., ч. II. Томъ V. Смедовская долина. Зимній вечеръ. Рыбаки. Томъ VI. Переселенцы. Романъ въ 5 ч. Томъ VII. Прохожій. Столичные родственники. Пахарь. Школа гостеприимства. Томъ VIII. Скучные люди. Очерки современныхъ нравовъ. Въ ожиданіи парома. Почтенные люди, обремененные многочисленнымъ семействомъ. Кошка и мышка. Пахатникъ и бархатникъ. Томъ IX. Корабль Ретвизанъ. (Годъ въ Европѣ и на европейск. моряхъ). Томъ X. Два генерала. Столичный воздухъ. Гуттаперчевый мальчикъ. Алексѣй Чemezовъ. (Недолгое счастье). Карьеристъ. Томъ XI. Акробаты благотворительности. Сонъ Карелина. (Отрывокъ изъ ром. „Петербургъ прошлаго времени“). Не по хорошу миль,—по милу хорошъ. Картины англійскихъ живописцевъ на выставкахъ 1862 г. въ Лондонѣ. Художественное образованіе въ приложеніи къ промышленности на всемирной Парижской выставкѣ 1867 г. Томъ XII. Рождественская ночь. Мой дядя Байдурынъ. Замшевые люди. (Заноза). Ком. въ 4 д. Городъ и деревня. Литературныя воспоминанія. Порфирій Петровичъ Кукушкинъ. Встрѣча.

Сочиненія Григоровича отдѣльно отъ журнала „Нива“ не продаются.

«ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ»

увеличенномъ объемѣ, которые будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждого мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, рассказы и проч. современныхъ авторовъ.

12 КНИГЪ „Парижскихъ мсдъ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

12 ЛИСТОВЪ руководящихъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

ПОРТРЕТЪ Государыни Императрицы **АЛЕКСАНДРЫ ЕЕ-ОДОРОВНЫ**, исполненный по оригиналу художника И. С. Галкина, размѣр. въ 18 верш. вышины и 14 вер. ширины.

„Стенной календаръ“ на 1896 г., печатанный красками.

Подписная цѣна на годовое изданіе „НИВЫ“ со всѣми вышеозначенными приложениями: безъ доставки въ СПб. 5 р. Съ доставкою въ СПб. 6 р. 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За границу 10 р.

Требованія просить адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „НИВА“ (А. Ф. МАРКСУ), „Малая Морская, д. № 22.“

L'URBAINE

URBAINE

Общество Страхования Жизни.

Невскій пр., № 13.

დაზღვეული პირნი დაზღვევის პირველის წლიდანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ააჩვენები. ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინცობა დაუძღვრდნენ და მუშაობა ველოარ წესდეს.

უმთავრესნი წარმომადგენენი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისის, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დაბუჯება და ზიარების ფურცლები მსურველთ უფაოდ გაგზავნებათ.

(40—24)